დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით

# შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

## პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები

**BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე!**
ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

2022 წ

# პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს პუნქტი/კაბინეტი.

2. პუნქტი განთავსებულია აკადემიის შენობაში და მის მუშაობას წარმართავს რექტორის მიერ დანიშნული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებელი პირი(შრომის უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი/სხვა).

3. პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო საშუალებებით და რესურსებით;

4. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო რესურსების და საშუალებების პერიოდულად მომარაგება.

5. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

ა)კომპეტენციის ფარგლებში თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს დაზარალებულის ოჯახის წევრის ინფორმირება.

6.თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან თანამშრომელი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად მისვლას სამედიცინო პუნქტამდე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პასუხისმგებელ პირს.

7. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტის ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს პასუხისმგებელ პირს და სთხოვოს მას სუბიექტის ადგილზე გასინჯვა. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

8. აუცილებლობის შემთხვევაში პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.

9. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

· საკუთარი ტელეფონის ნომერი;

· დაწესებულების მისამართი;

· სავარაუდოდ რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდენად სერიოზულია ის;

· დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;

· ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცა.

10. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პირველმა არ შეწყვიტოს სატელეფონო საუბარი, ვინაიდან შეიძლება ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.

11. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აწარმოოს შემთხვევების აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში;